

ინოვაციური პოლიტიკა, როგორც თანამედროვე ბიზნესის განვითარების მთავარი ფაქტორი

ღავთაძე გიორგი – პროფესორი; რექტორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

გირგვლიანი სალომე – დოქტორანტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Innovative Policy, as the Main Factor of Modern Business Development

Gavtadze George – Professor, Rector, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Girgvliani Salome – PhD Student, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: For Georgian economic development and European integration it is essential to develop an innovation system skills. In Europe economic growth, social problems, poverty reduction, unemployment and rural development is mostly dealt with innovation policy. Innovation policy is the part of socio-economic politics, which defines state authorities' aims, direction and methods in the field of innovation. The innovative development is a long process. Modern, competitive technologies, education reform and scientific development requires targeted policies and strategies. At present, enterprises with limited financial capacity direct their financial resources to fund current needs, rather than implement innovative projects.

The main essence of the problem is to understand what should be done in order to develop innovative business in the country. How to implement a new technology, or how to draw investment.

Research methodology: It is important to use examples of successful companies to make logical conclusion. Most of the well-known corporations succeeded by investment in innovative programmes. For example the Hewlett-Packard company (HP) gained leading position in business world after investing in modern technologies.

Results and implications: Innovation is a extended process, which starts with different, interesting ideas and for successful implementation needs thorough study. However, high technologies, innovations, technology startups, etc. for our current reality is not organic, when globalization is so overwhelming it is necessary to take steps forward to changes.

Conclusion: Implementing of innovative policy is impossible without technology parks, innovation centers, laboratories and business incubators. Creation of industrial parks is one of the necessary conditions of innovative business development in Georgia. Techno parks become more and more popular throughout the world. Not only private enterprises or institutions, but also governments are interested and actively engaged in their creation, greatly contribute to the country's economic growth and rural development.

Innovative policy would help Georgian industry to develop and respond to international demands.

Keywords: innovation, technopark, business, investment

მესავალი და მიზანი: საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ევროინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია საინოვაციო სისტემის განვითარების უნარი. ევროპაში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. საინოვაციო პოლიტიკა ეს არის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და მეთოდებს. ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. დღესდღეობით, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, საწარმოები ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავენ წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად, ვიდრე ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის.

პრობლემის კვლევის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გავიგოთ, რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში, რათა ინოვაციური ბიზნესი განვითარდეს. როგორ დავნერგოთ ახალი ტექნოლოგიები, ან მოვიზიდოთ ინვესტიციები.

კვლევის მეთოდოლოგია: რეკომენდაციების შემუშავებისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია მსოფლიოში წარმატებული კომპანიების განვითარების მაგალითებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს. მაგალითად კომპანიამ ჰიულეტ-პაკარდი (იგივე HP) თანამედროვე ტექნოლოგიებში დაბანდებული ინვესტიციების შედეგად მოიპოვა ლიდერი კომპანიის სტატუსი მსოფლიოში.

შედეგები და გამოყენება: ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდეგ წარმატებით განსახორციელებლად საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოვლისმომცველი ხდება საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები ცვლილებებისაკენ.

დასკვნა: ინოვაციური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციური ცენტრების, ლაბორატორიებისა და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის გარეშე. საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიმაჩნია ტექნოპარკების შექმნა. ტექნოპარკები უფრო და უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში. მათი შექმნით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ კერძო საწარმოები ან სასწავლებლები, არამედ მთავრობებიც, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და სუსტი რეგიონების განვითარებას. ინოვაციური პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს ქართულ მრეწველობას განვითარდეს, უპასუხოს საერთაშორისო მოთხოვნებს და გასცდეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ტექნოპარკი, ბიზნესი, ინვესტიცია

საქართველოსთვის გეგმიური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხანგრძლივი და რთული პროცესი აღმოჩნდა. თანამედროვე საბაზრო სისტემა მრავალმხრივი ეკონომიკური ორგანიზმია, რომლის მთავარი არსი თვითრეგულაციის საწყისებზე ორგანიზებულ ურთიერთობებში მდგომარეობს. დღესდღეობით, საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს მასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური წინსვლისა და ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ინოვაციურ განვითარებაზე აქცენტის გადატანა და შესაბამისი სისტემის ფორმირების ხელშეწყობა, როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონულ, ლოკალურ თუ დარგობრივ ჭრილში. ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა, სოციალური პრობლემების გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა, ძირითადად საინოვაციო პოლიტიკის გატარებითაა უზრუნველყოფილი. საინოვაციო პოლიტიკა არის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციების დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მიზნებს, მიმართულებებს და

მეთოდებს. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ყოველივე აღნიშნული ბევრად არის დამოკიდებული განათლების სისტემის გამართულობაზე, მის ხელმისაწვდომობაზე, განათლებისა და მეცნიერების ინტეგრირების ხარისხზე, თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო და კვლევით პროცესში ინტეგრირების შესაძლებლობების განვითარებაზე და ა.შ.

ინოვაციური განვითარება ხანგრძლივი პროცესია. თანამედროვე კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნა, განათლების სისტემის რეფორმა და სამეცნიერო სექტორის განვითარება მიზანმიმართულ პოლიტიკასა და სტრატეგიას მოითხოვს. ამასთან, არ არის საკმარისი, რომ აღნიშნულში ჩართული იყოს მხოლოდ სახელმწიფო. თუმცა დღესდღეობით საქართველოში, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში, კომპანიათა უმრავლესობა ძირითად ფინანსურ რესურსებს მიმართავს წარმოების მიმდინარე საჭიროებების დასაფინანსებლად და ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, რომ გამოიყენოს ისინი ინოვაციური პროექტების განხორციელებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა 2014–2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ინოვაციების თვალსაზრისით საქართველო 144 ქვეყნიდან 121–ე ადგილზეა¹. ეს მაჩვენებელი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული საკითხი აქტუალურია. ამასთან, ეს ვითარება უკვე არაერთი წელია რაც გრძელდება. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრობლემის კვლევის მთავარმიზნად დავისახეთ გაგვეგო რა ვითარებაა ამ მხრივ ქვეყანაში და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ინოვაციურ მიდგომებს დაეფუძნოს, მოზიდულ იქნას ინვესტიციური რესურსები ახალი ტექნოლოგიების დასაწერგად და ასამოქმედებლად და ა.შ.

რეკომენდაციების შემუშავებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მსოფლიოში წარმატებული კომპანიების განვითარების მაგალითებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთება. ცნობილ კორპორაციათა უმეტესობამ სწორედ ინოვაციურ პროგრამებში დაბანდებული ინვესტიციებით მიაღწიეს განვითარების უდიდეს მასშტაბებს.

¹წყარო: <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>

ამჟამად, ყველაზე ინოვაციური კომპანიების ტოპ-ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:¹

#	Company	Country	გაყიდვების ნაზრდი (ბოლო 12 თვე)	ინოვაციური პრემია ²
1	Tesla Motors	აშშ	52%	84.82%
2	Salesforce.com	აშშ	28.44%	77.81%
3	Alexion Pharmaceuticals	აშშ	22.7%	72.5%
4	Regeneron Pharmaceuticals	აშშ	35.91%	72.13%
5	ARM Holdings	დიდი ბრიტანეთი	-	69.76%
6	Unilever Indonesia	ინდონეზია	8.57%	67.9%
7	Incyte	აშშ	73.42%	67.85%
8	Amazon.com	აშშ	17.18%	67.64%
9	Under Armour	აშშ	28.77%	66.56%
10	BioMarin Pharmaceutical	აშშ	35.58%	65.19%

„ტესლა მოტორსი“ ელექტრომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანიაა, რომელიც 2003 წელს დაარსდა. მისი სათაო ოფისი მდებარეობს პალო ალტოში. „ტესლა მოტორსმა“ გადაწყვიტა ეკოლოგიური რევოლუცია მოეხდინა მანქანათმშენებლობის ინდუსტრიაში. კომპანია ცდილობს დააჩქაროს ელექტრონული მანქანების გავრცელება. იგი აქტიურად თანამშრომლობს „ტოიოტა მოტორსთან“, „პანასონიკთან“, „დაიმლერთან“ და ა.შ.

Alexion Pharmaceuticals არის ბიო-ფარმაცევტული ინოვაციური კომპანია, რომელიც ქმნის თერაპიულ პროდუქტებს პაციენტებისათვის, რომელთაც აქვთ მძიმე და ულტრა-იშვიათი დარღვევები. კომპანია ასევე ჩართულია ავტოიმუნური დაავადებების კვლევის საკითხში. Alexion Pharmaceuticals აწარმოებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ წამალს „სოლარისს“, რომელმაც 2015 წელს რეკორდულად დიდი შემოსავალი მოუტანა კომპანიას.³

Amazon.com არის ამერიკული კომპანია, რომელიც შეიქმნა 1994 წელს და დღეს-დღეობით ერთ-ერთი უმსხვილესი ინტერნეტ-მაღაზიაა. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოხერხებულად და დროის მინიმალური დანახარჯებით შეარჩიოს სასურველი პროდუქცია. ინოვაციური კომპანიების

¹ [http://www.forbes.com/innovative-companies/list/#tab:rank\(18.10.2015\)](http://www.forbes.com/innovative-companies/list/#tab:rank(18.10.2015))

² „ინოვაციური პრემია“-სხვაობა კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციასა (კომპანიის ფასიანი ქაღალდების მთლიანი რაოდენობის ნამრავლი მათ მიმდინარე საბაზრო ფასზე) და მისი მიმდინარე ბიზნესის ღირებულებას შორის.

³ წყარო: <http://www.nytimes.com/2015/05/07/business/dealbook/alexion-puts-its-soaring-stock-price-to-good-use.html? r=0>

ათეულში amazon.com მერვე ადგილს იკავებს და ამერიკაში ერთ–ერთ საუკეთესო დამსაქმებელ კომპანიას წარმოადგენს.

საქართველოში, ამ მხრივ, საკმაოდ რთული ვითარებაა. დღევანდელი მდგომარეობით, ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმში 12 თემატურ ჯგუფში არის გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის.

საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით¹

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	პოზიცია მსოფლიოში	ქულა (მაქსიმუმი 7)
საბაზისო მოთხოვნები	48	4.9
ინსტიტუტები	48	4.2
ინფრასტრუქტურა	59	4.3
მაკროეკონომიკური გარემო	48	5.1
ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	63	5.8
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	79	3.9
უმადლესი განათლება და ტრენინგები	92	3.9
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	60	4.4
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	41	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	76	3.9
ტექნოლოგიური მზად ყოფნა	67	3.8
ბაზრის ზომა	103	3.0
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები	118	3.1
ბიზნესის სოფისტიკაცია	113	3.5
ინოვაციები	121	2.7

¹ <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>

ქართული კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი ცდილობს სიახლე შესთავაზოს მომხმარებელს, დახვეწოს და გააუმჯობესოს არსებული პროდუქცია. მიზანშეწონილია კომპანიებმა აწარმოონ პერიოდული გამოკითხვა, გაიგონ მომხმარებელთა აზრი რა მოსწონთ, რა სიახლეებს მიესალმებიან და ა.შ. აუცილებელია, რომ ინოვაციურ იდეებს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და კვლევები დაედოს საფუძვლად.

ინოვაცია გრძელვადიანი პროცესია, რომელიც განსხვავებული, საინტერესო იდეით იწყება და შემდეგ წარმატებით განსახორციელებლად საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. მართალია, მაღალი ტექნოლოგიები, ინოვაციები, ტექნოლოგიური სტარტაპები და ა.შ. საქართველოს დღევანდელი რეალობისთვის არც ისე ორგანულია, მაგრამ მაშინ, როდესაც გლობალიზაცია ასე ყოვლისმომცველი ხდება, საჭიროა დღესვე გადავდგათ ნაბიჯები ცვლილებებისაკენ.

ინოვაციური პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერას, რაც შემდგომში განაპირობებს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. განათლების სისტემისა და მეცნიერული კვლევების ბიზნესთან კოორდინაციით შესაძლებელია ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირება ბიზნეს საქმიანობაში. აღნიშნული მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში ეროვნული ეკონომიკის უპირატესობის უზრუნველყოფას.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უახლოეს მომავალში განახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც საქართველოში პირველად აშენდება მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი. ეს უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ადგილი, რომელიც დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზებს ისეთ რესურსებს, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად იყო ხელმისაწვდომი. იგი განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ახალი ბიზნესისა და ახალი კომპანიების შექმნაში, არსებული ბიზნესის განვითარებაში, ინოვაციების კომერციალიზაციასა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნაში.¹

ინოვაციური პოლიტიკა თანამედროვე ბიზნესის წარმატების საწინდარია. მსოფლიო ბანკის 2013 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის - „ინოვაციების ხელშეწყობა საქართველოში“ თანახმად, ქართული კომპანიები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებდნენ ინოვაციებს საკუთარ მოღვაწეობაში უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ და 30%-ით მეტ სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ ვიდრე არა-ინოვაციური კომპანიები.²

¹<http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelosi-pirvelad-marali-teqnologiebisa-da-inovaciebis-ganvitarebis-centri-seiqmneba>

²<http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita>

ინოვაციური პოლიტიკის გატარება შეუძლებელია ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციური ცენტრების და ლაბორატორიების შექმნის გარეშე. საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის ერთ–ერთ აუცილებელ პირობად მიმაჩნია ტექნო-პარკების შექმნა, რომლებიც სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება მთელს მსოფლიოში. მათი შექმნით დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ კერძო საწარმოები ან სასწავლებლები, არამედ მთავრობებიც, რადგან ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და სუსტი რეგიონების განვითარებას.

ინოვაციური პროექტების წარმატებით განსახორციელებლად ერთ–ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნევ „ბიზნესინკუბატორების“ ამუშავებას, სადაც მოხდება მომავალი სტრატეგიული პარტნიორების მოძიება, სპეციფიკური ცოდნის შექმნა, ბიზნეს გეგმების მომზადება, ფინანსური რესურსების მოძიება და ა.შ ამავე დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი რისკის მქონე, ახალი, ინოვაციური იდეების დაფინანსებას. მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ვენჩურული ფონდების განვითარებას და ბაზარზე კონკურენციის არსებობას.

სამწუხაროდ საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება უცხოური კაპიტალის გარეშე უზრუნველყოს ეკონომიკის წინსვლა, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. ინვესტიციები ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, წახალისებს როგორც ახალ ისე კრიზისში მყოფ საწარმოებს, უზრუნველყოფს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას.

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას უნდა დაეფუძნოს, რისთვისაც არსებითია ინფორმაციასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. იმისათვის, რომ სამეცნიერო–ტექნოლოგიურ პროგრესს მივაღწიოთ აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, რათა ქვეყანაში შეიქმნას შესაფერისი გარემო ინოვაციური პოლიტიკის გასატარებლად.

ინოვაციური პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს ქართულ მრეწველობას განვითარდეს, უპასუხოს საერთაშორისო მოთხოვნებს და გასცდეს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. http://www.nytimes.com/2015/05/07/business/dealbook/alexion-puts-its-soaring-stock-price-to-good-use.html?_r=0
2. <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>
3. <http://www.forbes.com/innovative-companies/list/#tab:rank>

4. <http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelosi-pirvelad-marali-teqnologiebisa-da-inovaciebis-ganvitarebis-centri-seiqmneba>
5. <http://gita.gov.ge/ge/agency/about-gita>
6. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4---4--0-11--11-en-10---10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.9.6.4>
7. <http://www.nplg.gov.ge>

Summary

Georgian economic transition from the planned economic system to a market economy was a long and complicated process. The modern market system is complex economic entity, which main essence is self-regulatory structured relations. Today Georgia aspires European political and economic integration.

For Georgian economic development and European integration, it is essential to develop the innovation system skills. In Europe economic growth, social problems, poverty reduction, unemployment and rural development is mostly dealt with innovation policy. Innovation policy is the part of socio-economic politics, which defines state authorities' aims, direction and methods in the field of innovation. The innovative development is a long process. Modern, competitive technologies, education reform and scientific development requires targeted policies and strategies. At present, enterprises with limited financial capacity direct their financial resources to fund current needs, rather than implement innovative projects.

According to the Global Competitiveness Report of World Economic Forum of 2014-2015, by innovation development Georgia is at 121-th place from 144. This index clearly indicates how urgent this issue is. The main essence of the problem is to understand what should be done in order to develop innovative business in the country. How to implement a new technology or how to draw investment.

It is important to use examples of successful companies to make logical conclusion. Most of the well-known corporations succeeded by investment in innovative programmes. For example, the Hewlett-Packard Company (HP) gained leading position in business world after investing in modern technologies.

Nowadays the public and private donation or investment in research or development is quite low, which is reflected on various international surveys and ratings. Few Georgian companies try to offer renewed and improved products to customers. It is necessary for companies to conduct surveys time to time, to understand customers' opinions and needs. Various statistic data analysis and surveys must be considered for innovative ideas.

Innovation is an extended process, which starts with different, interesting ideas and for successful implementation needs thorough study. However, high technologies, innovations, technology startups, etc. for our current reality is not organic, when globalization is so overwhelming it is necessary to take steps forward to changes.

The Ministry of Economy and Sustainable Development will implement High Technology and Innovation Development Center in near future. This place should be equipped with modern technology, and offer small companies the resources that were not available to them before. It will play special role in starting new businesses and new companies, in commercialization of innovations and creating highly-paid jobs.

Innovative policy is guarantee of success in business. According to the report of World Bank _ "innovation in Georgia" Georgian companies, which actually use innovations in their work develop faster and created 30% more new jobs than non-innovative companies. Implementing of innovative policy is impossible without technology parks, innovation centers, laboratories and business incubators. Creation of industrial parks is one of the necessary conditions of innovative business development in Georgia. Techno parks become more and more popular throughout the world. Not only private enterprises or institutions, but also governments are interested and actively engaged in their creation, greatly contribute to the country's economic growth and rural development.

Innovative policy would help Georgian industry to develop and respond to international demands.

